16/08/2024

MES 8 24 0000983043

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 02. 08. 2024
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:52 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე -** სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **გოჩა თუთბერიძე**- შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
3. **დავით ტეფნაძე -** შპს ,,საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის"დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **დავით გეგეჭკორი -** სსიპ - აკაკი წერთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი;
6. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
7. **ციური დურული -** სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
9. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
10. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

11. **დიანამჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმარულების ასოცირებული პროფესორი;
13. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
14. **გიორგი მირიანაშვილი** – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები
ლალი ოდიშვილი- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო შეყილაძე - უმაღლესი განათლების ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
1. გიორგი მახარაშვილი - პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში;
2. სალომე კუჭუხიძე - პრორექტორი სასწავლო დარგში;
3. ნინო ჯოჯუა - პრორექტორი ხარისხის დარგში;
4. ანა გვრიტიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ნინო ქიტოშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
6. თეა კბილცეცხლაშვილი - პრორექტორი კვლევით დარგში,
7. სოფო პაპუაშვილი - ბიბლიოთეკის დირექტორი,
8. მარიამ კუჭავა - აკადემიური წერის ცენტრის ხელმძღვანელი.
9. ეკა დევიძე - პროგრამის ხელმძღვანელი

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

1. მაკა ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი;
2. მერაბ ბერიძე - ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
3. ნინო მილაშვილი - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. შალვა ჭკადუა - ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის რექტორი
2. თამარ თამარაშვილი - ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის დეკანი
3. სალომე თათულიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
4. ნანა რინკიაშვილი - პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
5. მანანა ალადაშვილი - ასოცირებული პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი
6. მაგდა დავითაშვილი - პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამების კოორდინატორი

აკრედიტაციის ექსპერტები:

- შელ ივარ ოვერგორდი (Kjell Ivar Øvergård) - I საკითხი;
- მარიამ ალანია - I საკითხი;
- გიგა ხოსიტაშვილი - I საკითხი;
- თამარ სეხნიაშვილი - I საკითხი;
- ლიკა კვინჩია - I საკითხი;
- ვალერი არღუთაშვილი - II და III საკითხი;
- ნინო პოპიაშვილი - IV საკითხი;
- ნინო ფხაკაძე - IV საკითხი.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ლომინაძემ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ბიზნეს ადმინისტრირება-ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის თანაშრომელმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით,
ვინაიდან, მე-2 და მე-4 საკითხებთან დაკაშირებული ანგარიშები შეისწავლა ერთიდაიმავე ექსპერტმა, ამიტომ, სასურველი იყო ამ საკითხების თანმიმდევრობით განხილვა.
საბჭოს დაეთანხმა ცენტრის შუამდგომლობას.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის “ბიზნეს ადმინისტრირება-ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ფსიქოლოგია
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ქართული
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 240
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფსიქოლოგიის ბაკალავრი
6. დეტალური სფეროს კოდი - 0313 ფსიქოლოგია

1. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ფსიქოლოგია
2. საფეხური - ბაკალავრიატი
3. სწავლების ენა - ინგლისური
4. ECTS კრედიტების რაოდენობა - 240
5. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფსიქოლოგიის ბაკალავრი
6. დეტალური სფეროს კოდი - 0313 ფსიქოლოგია

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტი, შელ ივარ ოვერგორდი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ არგუმენტირებული პოზიციის გაცნობისა და წაკითხვის შემდეგ პირველი და

მეორე სტანდარტი მეტწილად, ხოლო მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი სრულად შესაბამისობაში შეფასდა. პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს ყველა სასწავლო კურსის აღწერის გათვალისწინებით ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ სწავლის შედეგები არ იყო მკაფიოდ განსხვავებული ერთმანეთისაგან, განსაკუთრებით ეს საკითხი უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ინგლისურენოვან პროგრამაში. მისი თქმით, დაწესებულება უკვე მუშაობს ამ საკითხის გამოსწორებასთან დაკავშირებით, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ეს ცნობა მოწოდებული იყო ვიზიტის შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფი მოკლებული იყო შესაძლებლობას, რომ აღნიშნული ფაქტი დასკვნაში აესახა. ასევე, 1.5 კომპონენტთან მიმართებით იყო რეკომენდაცია „ქცევის გამოყენებითი ანალიზის“ სასწავლო კურსის დამატების შესახებ. ამ შემთხვევაშიც დაწესებულებამ დაიწყო მუშაობა, თუმცა ექსპერტებმა კვლავ ვერ შეძლეს მუშაობის ფაქტის ასახვა დასკვნაში, რადგან ეს ინფორმაცია მოწოდებული იყო უნივერსიტეტში ვიზიტის შემდეგ. მეორე სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პროგრამების მიმართ რამდენიმე რეკომენდაცია იყო გაცემული. 2.3 კომპონენტის ფარგლებში იყო რეკომენდაცია სწავლა-სწავლების მეთოდების აღწერასა და ზოგადი ფორმულირებების თავიდან აცილებასთან დაკავშირებით. ასევე რეკომენდაცია გაიცა მეტად ადაპტირებადი სწავლა-სწავლების მეთოდების გამოყენებასთან მიმართებით. ადაპტირებადი სწავლა-სწავლების მეთოდები განკუთვნილია იმ სიტუაციისთვის თუ პროგრამაში იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტები. 2.4 კომპონენტის ფარგლებში რეკომენდაცია გაიცა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ შეფასების კრიტერიუმი ყოფილიყო გათანაბრებული იმიტომ, რომ უფრო მეტი წონა ჰქონდა მინიჭებული. ასევე შემცირებულიყო შეფასებებში სუბიექტური მოსაზრების შესაძლებლობის ნაწილი. შელ ივარ ოვერგორდმა აღნიშნა, რომ მესამე სტანდარტის ფარგლებში არ იყო რეკომენდაციები გაცემული. შესაბამისად, ეს სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისობაში. ასევე მეოთხე სტანდარტიც სრულად შესაბამისობაში შეფასდა, თუმცა გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია 4.4 კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ, სტუდენტებმა უკეთ უნდა გამოიყენონ ელექტრონული სამეცნიერო ბაზები და ჰქონდეთ მეტი ხელმისაწვდომობა ნაბეჭდ წიგნებზე. მან აღნიშნა, რომ მეხუთე სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისობაში, თუმცა რეკომენდაცია გაიცა იმ საკითხთან მიმართებით, რომ შეცვლილიყო კრიტერიუმები გარე შეფასებისათვის, რადგან ეს კრიტერიუმები არ იყო მოცემული და შეფასებები ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით იყო ზოგადი. შელ ივარ ოვერგორდის თქმით, დაწესებულებამ მუშაობა დაიწყო იმ ორ სტანდარტზე, რომელიც მეტწილად შესაბამისობით შეფასდა. პროგრამების მიმართ გაცემული რეკომენდაციები არის სწრაფად შესრულებადი იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება მოახდენს რესურსების მობილიზებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნინო ჯოჯუა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა რეკომენდაციების ერთი ნაწილი გაიზიარა, ხოლო მეორე ნაწილზე ფიქრობს, რომ არ ასახავს ფაქტობრივ მდგომარეობას ან რჩევებშია გადასატანი. დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა „გამოყენებითი ქცევის ანალიზის“ სასწავლო კურსის დამატებას. აღნიშნული სასწავლო კურსი შეთავაზებული იქნება ორივე პროგრამაზე არჩევით სასწავლო კურსად. 1.4 და 1.5 სტანდარტი იყო ერთი და იგივე შინაარსის რეკომენდაცია, კერძოდ, აღნიშნულ რეკომენდაციებში ერთი და იგივე სასწავლო კურსებზე იყო საუბარი. მან აღნიშნა, რომ არგუმენტირებულ პოზიციაში წარმოდგენილი იყო სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს შორის განსხვავება, რომელიც მარკერით იყო მონიშნული. სწავლის შედეგები არ არის ფორმულირებული შესასწავლი თემების დასახელებით, როგორც ეს არგუმენტაციის გაზიარება-არგაზიარებასთან დაკავშირებით არის მითითებული დასკვნაში. ის ასახავს იმ ცოდნას და უნარებს, რომლებსაც პირველი კურსი ან მეორე კურსი უვითარებს სტუდენტს. დასკვნაში ამ საკითხთან დაკავშირებით ექსპერტები აღნიშნავენ შემდეგს: „ექსპერტთა ჯგუფმა

გამოავლინა, რომ ორივე პროგრამის რამდენიმე კურსს აქვს სწავლის შედეგებში იდენტურობის/მსგავსების გარკვეული დონე, რაც უნდა გამოსწორდეს, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურსების მკაფიო დიფერენცირება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს ქვესტანდარტი 1.4-ის და 1.5-ის რეკომენდაციებს.“ სწავლის შედეგებში იდენტობის მსგავსების გარკვეული დონის არსებობა არ უნდა ყოფილიყო საფუძველი ორი რეკომენდაციის გაცემის. სილაბუსებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქართულენოვან პროგრამაში არცერთი სასწავლო კურსის სილაბუსში არ იყო სწავლის შედეგები იდენტური. ამ მხრივ ინგლისურენოვან პროგრამაში ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, თარგმანის პრობლემა იყო. შესაბამისად, ამის საფუძველზე არ უნდა გაცემულიყო რეკომენდაცია. ნინო ჯოჯუამ 2.3 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ დასკვნაში მოყვანილი ზოგადი ფორმულირება ციტირებულია სილაბუსის შინაარსის გრაფიდან, სადაც ჩამოწერილი არის თემასთან ერთად თითოეულ კვირას გასავლელი ლექციის თემატიკა და მითითებულია აქტივობა. მისი თქმით, სილაბუსებში ცალკე გრაფა არის გამოყოფილი სწავლა-სწავლების მეთოდებისათვის. ასევე პროგრამაში მოცემულია მათი განმარტებები. სწავლა-სწავლების მეთოდებისათვის დაკონკრეტებულია ის თუ ლექციაზე და სემინარზე რა სწავლის მეთოდები გამოიყენება. გარდა ამისა, ყველა სილაბუსში გაწერილია დაწვრილებით შეფასების კრიტერიუმები. სილაბუსები აგებულია სტანდარტებისა და კანონმდებლობის დაცვით. შესაბამისად, ამ სტანდარტში მოცემული პირველი რეკომენდაცია არ შეესაბამება ფაქტობრივ მდგომარეობას. 2.3 სტანდარტში მოცემულ მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ დასკვნაში ექსპერტები აღნიშნავენ შემდეგს: „ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ეთანხმება, რომ იგი სხვადასხვა და მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებს იყენებს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება ფოკუსირებულია არა უშუალოდ სწავლების მეთოდზე, არამედ უფრო იმ კონკრეტულ უნარებზე, რომელზეც ხდება ქულების მინიჭება.“ ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ ქულების მინიჭება სპეციალური პრეზენტაციებისა და ისეთი უნარებისთვის, როგორიცაა „კარგად საუბრობს“ ან „აუდიტორიასთან კონტაქტს ამყარებს“ ხელს უშლის ზოგიერთ სტუდენტს კარგი შეფასების მიღებაში.“ აღწერილობით ნაწილში ექსპერტებს უწერიათ, რომ თუ სტუდენტს არ აქვს აღნიშნული უნარები განვითარებული ის დაკარგავს 10-15 ქულას. ნინო ჯოჯუას თქმით, კარგი კომუნიკაციის უნარი ფსიქოლოგს აუცილებლად სჭირდება და პროგრამის სასწავლო კურსების მეშვეობით უნივერსიტეტი მუშაობს, რომ ეს უნარი სტუდენტს გამომუშავდეს. სტუდენტმა შესაძლებელია პრეზენტაციაში ვერ მიიღოს მაქსიმალური შეფასება, თუმცა პიროვნული უნარების გამო ის ნულ ქულას არ მიიღებს და არ დაკარგავს 10-15 ქულას. პრეზენტაციის შეფასება მხოლოდ საუბრით და აუდიტორიასთან კონტაქტის კრიტერიუმით არ ფასდება. 10-15 ქულიდან სამი ან ოთხი ქულა ენიჭება მხოლოდ კომუნიკაციური უნარების შეფასებას. დანარჩენი კრიტერიუმებია პრეზენტაციის შინაარსი, სტრუქტურა, არგუმენტები, კითხვებზე პასუხი და ა.შ. იმ სტუდენტს, რომელსაც ეს პიროვნული უნარები სუსტად აქვს განვითარებული და ვერ ავითარებს, შესაძლებელია მან ვერ მიიღოს მაქსიმალური ქულა, თუმცა სამ ან ორ ქულას მისი უნარების შესაბამისად მიიღებს. შესაბამისად, ექსპერტების შეფასება, რომ პიროვნული უნარების გამო სტუდენტები კარგავენ 10-15 ქულას, არ შეესაბამება ფაქტობრივ გარემოებას. 2.4 ქვესტანდარტის პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 2.3 ქვესტანდარტში მოცემული რეკომენდაციის მსგავსია აღნიშნული რეკომენდაცია. მან აღნიშნა, რომ სასწავლო კურსები ფასდება 100 ქულით. მითითებულ სასწავლო კურსებში სტუდენტის აქტივობასა და პრეზენტაციას ენიჭება 15 და 10 ქულა, მაგრამ შეფასების სხვა მეთოდებისთვის რჩება 75 ქულა, რომელიც მოიცავს ქვიზებს, შუალედურ და დასკვნით გამოცდას. შესაბამისად, სტუდენტს დანამდვილებით ეძლევა ცოდნის სხვა ფორმით დემონსტრირების საშუალებაც. 2.4 ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ პროგრამის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში დაწვრილებით არის ჩაშლილი შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკები სტუდენტებს მკაფიო ინფორმაციას აძლევს თუ როგორ შეფასდებიან. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება სასწავლო

პროცესების მონიტორინგის სამსახურის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიან წარმართვაზე და საგამოცდო პროცესის ორგანიზებასა და ჩატარებაზე. შემფასებლის სუბიექტური მიდგომის გამოსარიცხად მონიტორინგის სამსახური ლექტორისათვის საგამოცდო მასალების მიწოდებას ახორციელებს კოდირებული სახით. საგამოცდო ნაშრომებიდან არ ჩანს სტუდენტის ვინაობა და შესაბამისად, სუბიექტური მიდგომის პრევენცია არის განხორციელებული. შეფასებების სისტემაში ყოველი სტუდენტისათვის შეჰყავთ სასწავლო პროცესის მონიტორინგის სამსახურს. გარდა ამისა, უნივერსიტეტში მუდმივად ტარდება გამოკითხვები და შეხვედრები, რომლის ფარგლებში დაწესებულება სწავლობს და ზრუნავს შეფასების ობიექტურობასა და გამჭვირვალობაზე. 2.4 ქვესტანდარტის მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა სილაბუსში გაწერილია სემინარის შეფასების კრიტერიუმები. შეფასების რუბრიკები სტუდენტებს მკაფიო ინფორმაციას აძლევს თუ როგორ შეფასდებიან. ყოველი სემესტრის დასაწყისში, პირველივე ლექციაზე ლექტორები სტუდენტებს განუმარტავენ და აძლევენ ინფორმაციას შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. სემინარზე სტუდენტები ფასდებიან სასემინარო აქტივობებში ჩართულობით და ცოდნის გამომჟღავნებით, რაც მოიცავს მსჯელობას, არგუმენტირებას, კითხვა/პასუხებს რომელიც შესწავლილი მასალის ცოდნას ადასტურებს. მაგალითად, „კოგნიტურ ფსიქოლოგიაში“ სემესტრის განმავლობაში სასემინარო შეფასება შეადგენს მაქსიმუმ 10 ქულას. შეფასების კრიტერიუმებია სტუდენტის ჩართულობა აქტივობებში, კითხვა/პასუხები, მსჯელობის ლოგიკურობა და არგუმენტირება. 4.4 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ქართულენოვან პროგრამას ეხებოდა განაცხადა, რომ ყველა იმ სასწავლო კურსში, რომელშიც სავალდებულო ლიტერატურა არის ინგლისურენოვანი, სასწავლო კურსის წინაპირობა არის პროფესიული ინგლისური. სტუდენტებს აქვთ ინგლისური ენის ცოდნის შესაბამისი დონე იმისათვის, რომ ცოდნა მიიღონ უახლესი ლიტერატურის შესწავლით, რომელიც ქართულ ენაზე არის ხელმისაწვდომი. თუ ლიტერატურა არის ძველი, მაშინ სტუდენტს შეთავაზებული აქვს რიდერები, რათა უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე მასალის მიწოდება. ექსპერტები ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავენ შემდეგს: „ექსპერტთა ჯგუფი ინფორმირებული იყო ამ ფაქტის შესახებ, თუმცა პრობლემა ის არის, რომ არსებობს პროფესიული ინგლისური I და პროფესიული ინგლისური II, ამ სამი კურსის წინაპირობა კი მხოლოდ პროფესიული ინგლისური I-ია. თუკი სტუდენტი ამ კურსს მხოლოდ მინიმალური კომპეტენციით დახურავს, იქნება ეს საკმარისი იმისთვის, რომ მან მომდევნო კურსებზე სრულად ინგლისურენოვანი საკითხავი მასალების კითხვა შეძლოს?! ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას ტოვებს უცვლელად.“ მისი თქმით, პროფესიული ინგლისური I წინაპირობა არის B2.1 დონე. სტუდენტები ინგლისურენოვან პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების ინგლისური ენის B1 დონის ტესტის ჩაბარებით ირიცხებიან და ინგლისურენოვან პროგრამებზე პირველივე სემესტრიდან სწავლობენ ინგლისური ენის სახელმძღვანელოებით. თუ მთელი ქვეყნის მასშტაბით ინგლისურენოვან პროგრამებზე ჩარიცხვისათვის მოითხოვება B1 დონე და სტუდენტები ინგლისურენოვან პროგრამებზე პირველივე სემესტრში სწავლობენ ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებით, მაშინ რატომ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ B2 დონის ზოგადი ინგლისური ენის ცოდნის და პროფესიული ინგლისური I ცოდნის მქონე სტუდენტების შესაძლებლობები ინგლისურენოვანი საკითხების კითხვასთან და ათვისებასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ეს რეკომენდაცია არ არის რელევანტური. 5.2 სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია ატარებს არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის ხასიათს. დაწესებულება მიმართავს გარე ექსპერტებს თხოვნით, რომ გააკეთონ პროგრამის გარე კოლეგიალური და განმავითარებელი შეფასება. პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო ქიტოშვილმა 1.4 და 1.5 სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ "განვითარების ფსიქოლოგია I" ყურადღებას ამახვილებს ბავშვის განვითარების ფუნდამენტურ საკითხებზე. ამის საპირისპიროდ "განვითარების ფსიქოლოგია II" ეფუძნება

ფუნდამენტური ცოდნის გაგებას ადამიანის განვითარების მთელი ცხოვრების მანძილზე, ბავშვობიდან - სიბერემდე. შესაბამისად, "განვითარების ფსიქოლოგია I" უზრუნველყოფს სტუდენტისათვის საბაზისო ცოდნის მიღებას იმისათვის, რომ "განვითარების ფსიქოლოგია II" შესწავლის დროს შეძლოს ფიზიკური და კოგნიტური ფსიქოლოგიის განვითარების თავისებურებების გაანალიზება, რომელიც თავისთავად ასახავს კურსის მიზნებსა და შედეგებს შორის პროგრესს. 2.3 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ განვლილი მასალა ყოველთვის არის დაკონკრეტებული ყველა სილაბუსში. გარდა ამისა, ყველა სილაბუსის ბოლოს შესაბამის კომპონენტში აღწერილია შეფასების მეთოდი. 2.4 სტანდარტთა მიმართებით განაცხადა, რომ კოგნიტური ფსიქოლოგია I – II და კვლევის მეთოდები არის სპეციალობის სავალდებულო კურსები, რომლებიც გადიან პროგრამის მიზნებზე. კვლევის მეთოდები არის ის სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტს ასწავლის თუ როგორ წარმოადგინოს დასკვნები ნათლად და არგუმენტირებულად. აღნიშნული სასწავლო კურსები საჭიროებენ პრეზენტაციის გამოცდილებას, რომლებიც გააძლიერებს სტუდენტების უნარს გააზიარონ თავიანთი ცოდნა, მიიღონ უკუკავშირი და მოემზადონ მომავალ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად. 4.4 სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ B1 დონე არის საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტმა შეძლოს ლიტერატურის წაკითხვა, გააზრება და ქართულ ენაზე გადმოცემა. პროფესიული ინგლისური ენა ემსახურება უფრო მაღალი ენობრივი უნარების განვითარებას, რომელიც სტუდენტს დაეხმარება საჭიროებისამებრ მომდევნო სასწავლო საფეხურის საზღვარგარეთ გასაგრძელებლად. მან აღნიშნა, რომ რთულია წინასწარ განისაზღვროს სტუდენტთა ზუსტი რაოდენობის მიღება პროგრამებზე. ძირითადი ლიტერატურა არის ქართულენოვანი, თუმცა საერთაშორისო სტუდენტების აღნიშნულ პროგრამებზე ჩარიცხვის შემთხვევაში განახლდება ლიტერატურათა ჩამონათვალი.

ბიბლიოთეკის დირექტორმა, სოფო პაპუაშვილმა 4.4 სტანდარტის პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკამ ჩაატარა ტრენინგ–შეხვედრები სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან აკადემიურ მონაცემთა ბაზების გამოყენების შესახებ. უნივერსიტეტმა შეიძინა აკადემიურ მონაცემთა ბაზა „ეფსკო“, რომლის გამოყენებასთან მიმართებით ჩატარდა ორი ტრენინგი. 4.4 სტანდარტის მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებობს ორი კატალოგი, კერძოდ, ნაბეჭდი და ელექტრონული წიგნების კატალოგი. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე მითითებულია ელექტრონული წიგნები, რომელთა ნახვაც სტუდენტებს შეუძლიათ კორპორატიული მეილით. ნინო ჯოჯუამ 4.4 სტანდარტის მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტანდარტები მოითხოვს, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს სტუდენტები ძირითადი სავალდებულო ლიტერატურით. უნივერსიტეტში სტუდენტები სრულად უზრუნველყოფილი არიან სავალდებულო ლიტერატურით. სტუდენტს ნებისმიერ დროსა და ადგილას შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული ლიტერატურით. ასევე ყველა ის ლიტერატურა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა გაზიარებული იქნა. ამრიგად, სტანდარტები იმპერატიულად არ ითხოვენ იმას, რომ ბიბლიოთეკაში იყოს ნაბეჭდი, ხოლო ელექტრონული ვერსია ამობეჭდილი სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან პროგრამის სწავლის შედეგებში მოცემულია სტუდენტის უნარი წარმართოს მცირემასშტაბიანი კვლევა დამოუკიდებლად. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ეს არის სამაგისტრო საფეხურის შედეგი. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტური იყო აღნიშნული სწავლის შედეგის არსებობა პროგრამაში. ერთ-ერთი წამყვანი უნარი ფსიქოლოგებისათვის არის კვლევის ჩატარება. კვლევითი უნარების გამომუშავებაზე პროგრამაში ბევრი საგანია ორიენტირებული. მაგალითად, კვლევა I, კვლევა II, საბაკალავრო ნაშრომი და ა.შ. ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ქართულენოვან პროგრამაში წერია, რომ სტუდენტი გეგმავს და აწარმოებს მცირემასშტაბიან

კვლევას არა დამოუკიდებლად, არამედ წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, იყო თუ არა პრობლემები ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში.
ექსპერტმა გიგა ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ გაცემული რეკომენდაციები არ უკავშირდებოდა ხარისხის ნაწილს. აკადემიურ პერსონალს აქვს იმისი თავისუფლება, რომ სილაბუსი აწყოს ისე, როგორც მას ეს სურს. შესაბამისად, მეხუთე სტანდარტი შეფასდა სრულად შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რატომ ჩაითვალა საჭიროებად ე.წ. „Hard Copy“ სახით ბიბლიოთეკაში წიგნების წარმოდგენა. გიგა ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც პროგრამაზე გამოცხადდება მიღება და სტუდენტები დაიწყებენ სწავლას, მნიშვნელოვანია ბიბლიოთეკაში არსებობდეს ნაბეჭდი წიგნები. რა თქმა უნდა, ასეთი მოთხოვნა სტანდარტის სახით არ არსებობს, თუმცა ბიბლიოთეკის არსიც ის არის, რომ ხელი შეუწყოს ყველას, მათ შორის მათ, ვისთვისაც მოსახერხებელია ნაბეჭდი წიგნიდან კითხვა. უნივერსიტეტი, როდესაც იწყებს ახალი პროგრამის იმპლემენტაციას, მნიშვნელოვანია მინიმუმ ერთი ნაბეჭდი წიგნი არსებობდეს ბიბლიოთეკაში.
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პრორექტორმა, გიორგი მახარაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში პერიოდულად ტარდება მცირე კვლევა იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რამდენად ხშირად ხდება ლიტერატურის მოხმარება. სტუდენტის მიერ ელექტრონული ლიტერატურის მოხმარება თანდათანობით იზრდება. შესაბამისად, დაწესებულებამ რატომ უნდა გააკეთოს აქცენტი ე.წ. „Hard Copy“-ზე, როდესაც არსებობს უამრავი ციფრული ლიტერატურა და ბაზა, სადაც სტუდენტს შეუძლია შევიდეს და სასურველი ინფორმაცია მიიღოს.
საბჭოს წევრმა, გოჩა თუთბერიძემ დაწესებულებას მიმართა, რომ სასწავლო კურსების მიზნებსა და სწავლის შედეგებთან დაკავშირებით უფრო მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოსთვის. მისი თქმით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო კურსები, რომლებიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, პრაქტიკულად იდენტურია როგორც მიზნები, ისე სწავლის შედეგები. სასწავლო კურსებში მიზნები და სწავლის შედეგები უნდა იყოს განსხვავებული იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა უნარებს და ცოდნას უვითარებს სტუდენტს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ქართულენოვანი პროგრამის ყველა სილაბუსში მიზანი და სწავლის შედეგი განსხვავებულია. ხარვეზიანი იყო მხოლოდ ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელიც არასწორმა თარგმანმა გამოიწვია. ინგლისურენოვანი პროგრამის დაკორექტირებული სილაბუსების მიწოდება მოხდა ცენტრისათვის, თუმცა ცენტრმა ვიზიტის განხორციელების შემდეგ ეს დოკუმენტები ვერ მიიღო. ექსპერტმა, მარიამ ალანიამ განაცხადა, რომ თუ პირველ სემესტრში სტუდენტი ისწავლის შეგრძნებას, აღქმას და მეხსიერებას, ხოლო მეორე სემესტრში ინტელექტის თეორიებს, ამით არ მოხდება განსხვავებული შედეგის მიღწევა. ეს არის უფრო განგრძობით დროში მასალის ათვისება. მისი თქმით, ნამდვილად გასაზიარებელია თარგმანის პრობლემა, თუმცა ქართულენოვან პროგრამაშიც ეს პრობლემა დგას. სასემინარო შეფასებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პიროვნული მახასიათებლები და უნარები ყველა სავალდებულო საგნისთვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი. შეიძლება იყოს ისეთი სტუდენტი, რომელიც არ აპირებდეს საველე კვლევაში ჩართვას. ამრიგად, დაწესებულებამ ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა იმუშაოს.
ნინო ჯოჯუამ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულებაში ექსპერტთა ჯუფის ვიზიტის დროს მარიამ ალანიასთან ჰქონდა საუბარი. მაგალითად, როდესაც მაკრო ეკონომიკის სილაბუსში მოცემულია, რომ სტუდენტი ხსნის მიკროეკონომიკურ მაჩვენებლებს, აღწერს მათ, აკეთებს ანალიზს, ხოლო მიკრო ეკონომიკაში ხსნის და აღწერს მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს და მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით შეუძლია გააკეთოს მაკროეკონომიკური ანალიზი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სწავლის შედეგები იგივეა, თუმცა ექსპერტმა ჩათვალა, რომ სწავლის შედეგები იდენტურია. ნინო ჯოჯუამ კომუნიკაციურ უნარებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა მარიამ ალანიას მოსაზრებას. მისი თქმით, სხვა საგნებში თუ არა,

საბაკალავრო ნაშრომის დაწერაში სტუდენტს აუცილებლად სჭირდება კომუნიკაციური უნარები, რათა სწავლის შედეგებზე გავიდეს.
საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ პროგრამების მიმართ გაცემული იყო შემდეგი კლასტერული რჩევები: „სასურველია, ფაკულტეტმა ზოგჯერ მიმართოს გარე გამომცდელს, რადგან ეს ხელს შეუწყობს შეფასების პროცედურის ხარისხისა და სისწორის კონტროლს“, „სასურველია, რომ შიდა შეფასების სანდოობა გარე შემფასებლისა და შიდა შემფასებლის მიერ გამოითვალოს და წარმოდგენილი იქნას პროგრამის ყოველწლიურ ანგარიშში“. მას აინტერესებდა, რას გულისხმობდნენ ექსპერტები გარე გამომცდელში, რომელმაც საგამოცდო პროცესი უნდა მიიღოს. ასევე პროგრამების მიმართ გაცემული იყო შემდეგი კლასტერული რჩევა: „სასურველია, ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვან) საბაკალავრო პროგრამას დაემატოს მე-6 მიზანი, რომელიც აღწერს მიზანს, თუ რისთვის შეიქმნა ახალი ინგლისურენოვანი პროგრამა“. მას აინტერესებდა, რამდენად მნიშვნელოვანია მიზნებში იყოს გაწერილი პროგრამის შექმნის წინაპირობა. მისი თქმით, 1.2 სტანდარტში მოცემული იყო შემდეგი კლასტერული რჩევა: „სასურველია, ფსიქოლოგიის (ინგლისურენოვან) საბაკალავრო პროგრამას დაემატოს დამატებითი სასწავლო მიზანი, რომელიც დეტალურად აღწერს ინგლისური ენის ცოდნის მნიშვნელობას“. მას აინტერესებდა, რა იყო აღნიშნული რჩევის გაცემის საფუძველი.
საერთაშორისო ექსპერტმა, შელ ივარ ოვერგორდმა განაცხადა, რომ გარე შემფასებელში იგულისხმებოდა არა უნივერსიტეტის, არამედ სხვა უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელიც დაწესებულებას დაეხმარებოდა ქულების ისეთ ნორმირებაში, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანი არ შეაფასებდა ამ საკითხს. ამავე საკითხთან დაკავშირებით მეორე რჩევა ეხებოდა იმას თუ რამდენად ეთანხმება მეორე შემფასებელი პირველ შემფასებელს. ინტერნაციონალიზაციის საკითხი ბევრ დოკუმენტში იყო ნახსენები. ეს პროგრამა სტუდენტს დაეხმარება იმაში, რომ დასაქმდეს არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საზღვარგარეთ. უნივერსიტეტი თუ ამ ნაწილს მეტად მკაფიოდ მიუთითებს პროგრამის მიზნებში კარგი იქნება. 1.2 სტანდარტში მოცემულ რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იღებენ დამატებით კომპეტენციას, მათ შორის ინგლისურ ენაშიც და ამ საკითხის უფრო მკაფიოდ გამოკვეთა დაწესებულების მიერ პროგრამაში კარგი იქნებოდა. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხს. მას აინტერესებდა, რა იყო აღნიშნული რჩევის გაცემის საფუძველი. შელ ივარ ოვერგორდმა განაცხადა, რომ ყველა პროგრამა მკაფიოდ უნდა მიუთითებდეს იმას თუ რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს. შესაბამისად, ამ ნაწილში მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის საკითხის გათვალისწინება. საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა დამატებითი ლიტერატურის განახლების საკითხს. მას აინტერესებდა, ამ რეკომენდაციის შეუსრულებლობა გამოიწვევდა თუ არა სასწავლო კურსში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიუღწევლობას.
ექსპერტმა, გიგა ხოსიტაშვილმა განაცხადა, რომ ეს რეკომენდაცია ეხებოდა ინგლისურენოვან პროგრამაში ქართულენოვანი ლიტერატურის დამატებას. აღნიშნული რეკომენდაციის შეუსრულებლობა არა გამოიწვევს სასწავლო კურსში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიუღწევლობას, თუმცა მისი შესრულება მხოლოდ წაადგებოდა დაწესებულებას.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, ესაჭიროებოდა თუ არა კურსდამთავრებულს პროგრამის სწავლის შედეგებზე გასასვლელად (მაგალითად, მეშვიდე სწავლის შედეგზე) კომუნიკაციის უნარები. გარდა ამისა, თუ არა შეფასდა კომუნიკაციის უნარი, მაშინ როგორ დამტკიცდება პროგრამის გასვლა სწავლის შედეგებზე. ექსპერტმა მარიამ ალანიამ აღნიშნა, რომ საჭირო არ არის სწავლის შედეგების სრულფასოვნად მიღწევისთვის სტუდენტს კომუნიკაციის უნარები ჰქონდეს ისე განვითარებული, როგორც ეს ზოგიერთ სილაბუსში არის აღწერილი. მხოლოდ არჩევით საგნებში არის ამის შემოწმების შესაძლებელობა. საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ლომინაძემ

კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა სისტემას იყენებდა დაწესებულება პლაგიატის მსგავსების იდენტიფიკაციისათვის.
პრორექტორმა, თეა კბილცეცხლაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში წლებია დანერგილია ანტიპლაგიატის სისტემა. დაწესებულება ჯერ იყენებდა „Turnitin"-ის, ხოლო შემდეგ „Strikeplagiarism"-ის პროგრამას. უნივერსიტეტი ახალი მენეჯმენტის მოსვლის შედეგად ისევ დაუბრუნდა „Turnitin"-ის პროგრამას, თუმცა „AI"-ის (ხელოვნური ინტელექტის) ფუნქციის დამატებით. დაწესებულებაში ჩატარდა ტრენინგები ამ პროგრამის გამოყენების შესახებ. თუ აქამდე ხდებოდა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების/თეზისების შემოწმება, ახლა უკვე შესაძლებელია საბაკალავრო ნაშრომების შემოწმებაც. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შეამოწმონ საკუთარი ნაშრომები „Turnitin"-ის პროგრამაში რამდენჯერაც მათ მოესურვებათ. გარდა ამისა, დაწესებულებაში ფუნქციონირებს „Moodle"-ს მსგავსი საიტი - „Smartest Way of Learning"-ი, რომელშიც ინტეგრირებულია Turnitin"-ის პროგრამა. მხოლოდ დადგენილ პროცენტზე მაჩვენებლით არ ხდება დასკვნის მომზადება. ინდივიდუალურად ხდება თითოეული ნაშრომის განხილვა სამეცნიერო ხელმძღვანელის ჩართულობით. თუ ნაშრომი დახარვეზდება, მაშინ სტუდენტს მიეცემა 5 დღის ვადა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. ამრიგად, მოწმდება მხოლოდ „Text Similarity". პლაგიატი 0%-ით უნდა იყოს ნაშრომში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:44
დასრულების დრო: 16:44

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, არ გაითვალისწინა 1.4. კომპონენტში არსებული რეკომენდაციები, შესაბამისად კლასტერში არსებული პროგრამებისათვის პირველ სტანდარტი ნაცვლად მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან, შეფასდა როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით ერთი წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ფსიქოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაემატოს კურსი – ,,გამოყენებითი ქცევის ანალიზი;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს, რომლებიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, ჰქონდეთ მკაფიოდ განსხვავებული სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია, სილაბუსებში ნათლად იყოს გაწერილი სწავლის/სწავლების მეთოდები და თავიდან იქნას აცილებული ზოგადი ფორმულირების გამოყენება, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, სილაბუსებში პრეზენტაციისთვის მინიჭებული შეფასების წონა შესწორდეს იმგვარად, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ქულების ადეკვატური განაწილება შეფასების სხვა მეთოდებთან მიმართებაში.
- რეკომენდებულია, კურსებში გამოიყენონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც შეამცირებენ სუბიექტური აზრის გავლენას შეფასებაზე;
- რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს სემინარის აქტივობის შეფასების კრიტერიუმები;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს ტრენინგ–შეხვედრები სტუდენტებთან, რათა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ გამოიყენონ აკადემიურ მონაცემთა ბაზები, რომლებიც ამჟამად გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიძინოს მოცემული სასწავლო პროგრამის თითოეული სახელმძღვანელოს მინიმუმ ერთი ბეჭდური ეგზემპლარი და ხელმისაწვდომი გახადოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა სტუდენტებმა შეძლონ სახელმძღვანელოებით სარგებლობა.
- რეკომენდებულია, ყველა სავალდებულო ლიტერატურა იძებნებოდეს ბიბლიოთეკის კატალოგში, რათა სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ საინფორმაციო რესურსების შესახებ.
- რეკომენდებულია, განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები გარე კოლეგიური შეფასებისთვის, რადგან ამჟამად არსებული უკუკავშირი ხაზს არ უსვამს პროგრამის არც ძლიერ და არც სუსტ მხარეებს, გამოიყურება უფრო ფორმალურად და ნაკლებად ინფორმაციულად.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით ერთი წლისთავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ფსიქოლოგიის"

ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენილს წარმოდგენის პირობითს.

განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაემატოს კურსი – ,,გამოყენებითი ქცევის ანალიზი;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსებს, რომლებიც ერთმანეთის გაგრძელებას წარმოადგენენ, ჰქონდეთ მკაფიოდ განსხვავებული სწავლის შედეგები;
- რეკომენდებულია, სილაბუსებში ნათლად იყოს გაწერილი სწავლის/სწავლების მეთოდები და თავიდან იქნას აცილებული ზოგადი ფორმულირების გამოყენება, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, სილაბუსებში პრეზენტაციისთვის მინიჭებული შეფასების წონა შესწორდეს იმგვარად, რომ, უზრუნველყოფილი იყოს ქულების ადეკვატური განაწილება შეფასების სხვა მეთოდებთან მიმართებაში.
- რეკომენდებულია, კურსებში გამოიყენონ შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც შეამცირებენ სუბიექტური აზრის გავლენას შეფასებაზე;
- რეკომენდებულია, მკაფიოდ განისაზღვროს სემინარის აქტივობის შეფასების კრიტერიუმები;
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გააძლიეროს ტრენინგ–შეხვედრები სტუდენტებთან, რათა მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია, თუ როგორ გამოიყენონ აკადემიურ მონაცემთა ბაზები, რომლებიც ამჟამად გამოწერილი აქვს ბიბლიოთეკას.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიძინოს მოცემული სასწავლო პროგრამის თითოეული სახელმძღვანელოს მინიმუმ ერთი ბეჭდური ეგზემპლარი და ხელმისაწვდომი გახადოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რათა სტუდენტებმა შეძლონ სახელმძღვანელოებით სარგებლობა.
- რეკომენდებულია, ყველა სავალდებულო ლიტერატურა იძებნებოდეს ბიბლიოთეკის კატალოგში, რათა სტუდენტები ინფორმირებულნი იყვნენ საინფორმაციო რესურსების შესახებ.
- რეკომენდებულია, განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები გარე კოლეგიური შეფასებისთვის, რადგან ამჟამად არსებული უკუკავშირი ხაზს არ უსვამს პროგრამის არც ძლიერ და არც სუსტ მხარეებს, გამოიყურება უფრო ფორმალურად და ნაკლებად ინფორმაციულად.

2. მეორე საკითხი: შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნეს ადმინისტრირება-ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადეს დიანა მჭედლიშვილმა და ქეთევან ნანობაშვილმა

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტი ვალერი არღუთაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნეს ადმინისტრირება-ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსებში ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები", ,,მენეჯმენტის საფუძვლები", ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები", " კულტურული ტურიზმი", "საექსკურსიო მენეჯმენტი და გიდის ხელოვნება", "ტურიზმის ეკონომიკა" სავალდებულო ლიტერატურის განახლებას და შესაბამისად კურსების შინაარსის დახვეწას. მან აღნიშნა, რომ გამოთხოვილი იქნა წინა წარმოების დროს აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსები. მათი შემოწმების შემდეგ დადგინდა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია, კერძოდ, განახლებულია ძირითადი ლიტერატურა რეკომენდაციით გათვალიწინებულ სილაბუსში. შემდეგ სასწავლო კურსის სილაბუსებში: „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები", „მენეჯმენტის საფუძვლები" და „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები" სასწავლო თემები თხუთმეტი კვირის ნაცვლად გადანაწილდა ცამეტ კვირაზე. მოდიფიცირება განიცადა სილაბუსებმა და დაკორექტირდა სწავლის მიზანი და შედეგები. აგრეთვე, კულტურული ტურიზმის სილაბუსს მეოთხე კვირაში დაემატა თემა: „ანიმაცია ტურიზმში". მეორე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამების მდგრადი განვითარების მიზნით შრომის ბაზრის კვლევის ჩატარებას პროგრამებთან ბმაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ-მ რეკომენდაცია შეასრულა, კერძოდ: შრომის ბაზრის ახალი მოთხოვნების შესწავლისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა მიმდინარე წლისთვის. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა მემორანდუმებში სტუდენტთა რაოდენობის დაკონკრეტებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ - მ რეკომენდაცია შეასრულა, კერძოდ: წარმოდგენილ შვიდ მემორანდუმში დაკონკრეტებულია სტუდენტთა რაოდენობები (სულ, ჯამში 43 სტუდენტი). მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა ერთი რჩევა სრულად გაითვალისწინა, კერძოდ, ჩანაწერი: ,,უცხო ენა" შეიცვალა და ჩანაცვლდა კონკრეტული ენის მითითებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჯოჯუამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ გაცემული ყველა რეკომენდაცია დაწესებულეამ შეასრულა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:05
დასრულების დრო: 17:12
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:
შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნეს ადმინისტრირება-ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტის და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის "ბიზნეს ადმინისტრირება-ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილიანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

3. მესამე საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ვალერი არღუთაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ გაცემული იყო ხუთი რეკომენდაცია და ექვსი რჩევა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის მიზნის დახვეწას, უფრო უნიკალურად და კონკრეტულად გახდომას. მეორე მიზანი ფორმულირდა შემდეგნაირად: „ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სტუდენტი, რომელიც აღჭურვილი იქნება ტურისტული პროდუქტის ფორმირების პროცესში ტურისტულ - რეკრეაციული რესურსების შერჩევის და ხარისხობრივი მახასიათებლების იდენტიფიცირების საჭირო ცოდნით/უნარ-ჩვევებით". მისი თქმით, პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული და პასუხობს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს. აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ სრულად შეასრულა. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კურსების სახით ღვინის ტურიზმის, ეკო და აგრო ტურიზმის დამატებას. უნივერსიტეტმა მოცემული რეკომენდაცია სრულად გაითვალისწინა. პროგრამას დემატა ღვინის ტურიზმი, ეკო და აგრო ტურიზმი. აღნიშნული სასწავლო კურსები არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადატანილ იქნა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ მემორანდუმებში/ხელშეკრულებებში სტუდენტების რაოდენობის და პრაქტიკის ვადების გათვალისწინებას. აღნიშნული რეკომენდაცია უნივერსიტეტმა სრულად შეასრულა, კერძოდ,

წარმოდგენილ რვა მემორანდუმში დაკონკრეტდა სტუდენტთა რაოდენობები (სულ, ჯამში 75 სტუდენტი). მეოთხე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია სასწავლო კურსების (ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში, ექსკურსია მცოდნეობა, ტურისტული პროდუქტების გაყიდვის ტექნოლოგიები, დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, კვებისა და სასმელების მენეჯმენტი, სასტუმრო მომსახურების ორგანიზაციის პრინციპები) სტუდენტების შეფასებაში გათვალისწინებულ იქნას პრაქტიკული დავალებების შესრულების კომპონენტები სასწავლო კურსების თემატიკიდან გამომდინარე“. უნივერსიტეტმა მოცემული რეკომენდაცია შეასრულა. მაგლითად, ტურისტული პროდუქტების გაყიდვის ტექნოლოგიებში ჯგუფური სამუშაო - შეფასდება 10 ქულით (5-ჯერ, თითოეული 2 ქულა), პრეზენტაცია - შეფასდება მაქსიმუმ 10 ქულით, ერთჯერადად. შესაბამისად, აღნიშნინული მეთოდით შეიცვალა ყველა სილაბუსი. მეხუთე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია ყურადღება მიექცეს საბაკალავრო ნაშრომების, როგორც სამეცნიერო წერითი სამუშაოს ხარისხობრივი და რაოდენობრივი პარამეტრების უზრუნველყოფას (ციტირება, ზომა, მეთოდოლოგიის მართებულობა და ა.შ.). უნდა გაიზარდოს კომუნიკაცია და კოორდინაცია სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში. ხელმძღვანელებმა უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ სტუდენტებს აკადემიური წერის ნორმების შესახებ“. მისი თქმით, დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია სრულად შეასრულა. უსდ-მ განახორციელა ცვლილებები საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში, კერძოდ, საბაკალავრო ნაშრომი 5 კრედიტიდან გაიზარდა 8 კრედიტამდე, ნაცვლად 200 საათისა, ახალ სილაბუსში საათების რაოდენობა გაიზარდა 125 საათმდე, საიდანაც ხელმძღვანელის სტუდენტთან საკონტაქტო საათების რაოდენობა გაიზარდა 28 სთ-მდე, ნაცვლად 13 საათისა, ასევე გაიზარდა სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები 150 სთ-მდე, ნაცვლად 110 საათისა. ვალერი არღუთაშვილმა რჩევებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადასტურდა, რომ ექვსი რჩევიდან უნივერსიტეტმა პირველი, მეორე და მესამე რჩევა სრულად გაითვალისწინა, ხოლო მეოთხე, მეხუთე და მეექვსე რჩევებზე მიმდინარეობს მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სალომე თათულიშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია და რჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მისი თქმით, დასკვნაში მოცემული იყო შემდეგი: „ნაცვლად 200 საათისა, ახალ სილაბუსში საათების რაოდენობა გაიზარდა 125 საათმდე, საიდანაც ხელმძღვანელის სტუდენტთან საკონტაქტო საათების რაოდენობა გაიზარდა 28 სთ-მდე, ნაცვლად 13 საათისა“. მას აინტერესებდა, რამდენად ლოგიკიურია 200 საათი გაიზარდოს 125 საათამდე.

საბჭოს წევრმა, ვალერი არღუთაშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო ტექნიკური შეცდომა. მისი თქმით, 125 საათი გაიზარდა 200 საათამდე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:23
დასრულების დრო: 17:34
საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] - ე მუხლის მე - 2 პუნქტის და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის “ტურიზმის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა გოჩა თუთბერიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტი ნინო პოპიაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულების წარმომადგენლებს, მოქმედ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს გაესაბურა იმ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც რეკომენდაციებში იყო აღწერილი. მისი თქმით, დაწესებულებამ შეასრულა რეკომენდაციები, თუმცა გამოვლინდა ერთი ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ეხებოდა კრედიტების დაანგარიშებას. დაწესებულებამ გაიზიარა აღნიშნული შენიშვნა, რომელსაც ახლო მომავალში გამოასწორებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

უნივერსიტეტის რექტორი, მაკა ბერიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, მინიმალური სტანდარტის შემუშავება იყო ღია პროცესი. მაშინ, როდესაც ქართული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა მზადდებოდა, დიდი ყურადღება მიექცა მინიმალური სტანდარტის მოთხოვნებს, რათა სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამა ამ დოკუმენტთან შესაბამისობაში ყოფილიყო.

შესაბამისად, დოქტორანტები დისერტაციას დაიცავენ ამ მინიმალური სტანდარტის გათვალისწინებით. მისი თქმით, 52 კრედიტი უკვე გასწორდა 46 კრედიტად. ამრიგად, უნივერსიტეტი გააგრძელებს პროგრამის დახვეწაზე მუშაობას.

დაწყების დრო: 17:48

დასრულების დრო: 17:51

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაცილი წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ქართული ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაცილი წარმოება.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 17:52 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ